დასკვნა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის რიმა მარგიანის 2017 წლის 12 ოქტომბრის №7034-31 წერილთან დაკავშირებით

ქ. წყალტუბო **17.10.2017**

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა, გიორგი ბურჯანაძემ, განვიხილე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მ.შ ზაზა ძნელაძისადმი, ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის რიმა მარგიანის 2017 წლის №7034-31 წერილი, რომელიც შეეხება ი.მ «ირა თავდიშვილი»-ს მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის გაწეულ მომსახურებასა და შესაბამისი თანხის ანაზღაურებას.

ზემოთ აღნიშნული წერილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა შემდეგი:

2017 წლის 05 ოქტომბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს კონსტანტინე ჭამისეიშვილსა და ი.მ «ირა თავდიშვილი»-ის შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №196 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ქ.წყალტუბოში როინ მეტრეველის ნანოვისადმი მიძღვნილი ხელბურთის ტურნირის მონაწილე უკრაინის ქალაქ მელიტონის ხელბურთელთა გუნდის 18 წევრის 2 დღე-ღამით სასტუმროში დაბინავების მომსახურების შესყიდვას. ხელშეკრულების შესაბამისად, მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 1050 (ათას ორმოცდაათი) ლარი.

2017 წლის 10 ოქტომბერს ი.მ «ირა თავდიშვილი»-ის მიერ წარმოდგენილ იქნა №8625/31 წერილი გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულების ანაზღაურების შესახებ.

აღნიშნული მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით ი.მ «ირა თავდიმვილი»-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს: გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს რიმა მარგიანს, ამავე სამსახურის თანამშრომლებს ლია გუგუსიანს, ლია გიორგობიანს და მაია ჯანელიძეს შორის, სხდომის ოქმის საფუძველზე, 10 ოქტომბერს გაფორმებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, თანხით 1050 (ათას ორმოცდაათი) ლარი.

გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი მასალა საშუალებას იძლევა მომზადდეს შემდეგი სახის დასკვნა:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის და ი.მ «ირა თავდიშვილი»-ს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიზანშეწონილია, ი.მ «ირა თავდიშვილი»-ის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულის ანაზღაურება დაევალოს შესაბამის სამსახურს.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ბურჯანაძე

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. წყალტუბო 10 ოქტომბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, ინდ. მეწარმე „ირა თავდიშვილის“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით და მეორეს მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგეგბლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირების - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი - გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის **რიმა მარგიანის**; მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი - კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსის **ლია გუგუსანის**; მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მაია ჯანელიძის; მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის **ლია გიორგობიანის** სახით, ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 5 ოქტომბერს დადებული №196 ხელშეკრულების საფუძველზე მოვახდინეთ, ქ. წყალტუბოში როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ხელბურთის ტურნირის მონაწილე უკრაინის ქალაქ მელიტოპოლის ხელბურთელთა გუნდის 18 წევრის (16 მოთამაშე, 2 მწვრთნელი) სასტუმროში ბინადრობის მომსახურეობის შსყიდვა, ღირებულებით 1050 (ათასორმოცდაათი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი ძალის ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა ინდ.მეწარმე „ირა თავდიშვილი“ დირექტორის ირა თავდიშვილს , ხოლო მეორე რჩება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

ჩააბარა

ინდ.მეწარმე
„ირა თავდიშვილი“
დირექტორი:

ირა თავდიშვილი“

ჩაიბარა

ჯგუფის უფროსი: რიმა მარგიანი

№11

წევრი: ლია გუგუსიანი

მაია ჯანელიძე

მდივანი: ლია გიორგობიანი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე

კონტროლის განხორციელების და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილი

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის

საქმეთა სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის

სხდომის ოქმი

ქ. წყალტუბო 10 .10.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: ჯგუფის უფროსი, **პირველი რანგის,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის **პირველადი სტრუქტურული** ერთეულის ხელმღვანელი- გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **რიმა მარგიანი, მეორე რანგის,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის **მეორადი** სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი- კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი **ლია გუგუსიანი, მესამე რანგის,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების **მეორე** კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **მაია ჯანელიძე, მესამე რანგის,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის **მეორე** კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ლია გიორგობიანი - ჯგუფის მდივანი.**

დღის წესრიგი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ინდ. მეწარმე „ირა თავდიშვილს" შორის 2017 წლის 27 სექტემბრის №196 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღების შესახებ.

მოისმინეს: მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების **მეორე** კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **მაია ჯანელიძის** ინფორმაცია, ინდ. მეწარმე „ირა თავდიშვილის" მიერ 2017 წლის 27

სექტემბერს დადებული №196 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების კერძოდ: ქ.წყალტუბოში როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ხელბურთის ტურნირის მონაწილე უკრაინის ქალაქ მელიტოპოლის ხელბურთელთა გუნდის 18 წევრის (16 მოთამაშე და 2 მწვრთნელი) 2 დღე-ღამით სასტუმროში ბინადრობის მომსახურეობის მიღების შესახებ, საერთო თანხით 1050 (ერთიათასორმოცდაათი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: ჯგუფის უფროსმა რიმა მარგიანმა და ლია გუგუსიანმა.

დაადგინეს: მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული №196 ხელშეკრულების ფარგლებში, ინდ. მეწარმე „ირა თავდიშვილის" მიერ განხორციელებული მომსახურეობის მიღება და შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტის შედგენა.

მომხრე 4, წინააღმდეგი-0.

ჯგუფის უფროსი: რიმა მარგიანი

ჯგუფის წევრები: ლია გუგუსიანი

მაია ჯანელიძე

სხდომის მდივანი: ლია გიორგობიანი